№ 229

პარასკევი, 20 ოქტომბერი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 6 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 7 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227



№ 229

პარასკევი, 20 ოქტომბერი, 1900 წ.



რედაქცია:

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.



„ივერიის“ ტელეფონი № 227.



## ქართველ ქალთა სამკერვალო

18 სექტემბრიდგან დაიწყო მუშაობა. მიიღებს კაბებს შესაკერად. იქვე მიიღებს პირველ ოქტომბრამდე შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენთ თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა კერვის კურსებზედ.

**ადრესი:** ბარონის ქუჩა, № 12.

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები,** თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსისათვის როგორც **საპირე,** ისე **სარჩულები.** იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფურიძითა და ნაჭრობით.

(50—ნ.—40) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

ს. სალარიძე ასწავლის **ფრანგულ, იტალიანურ, გერმანულ და ინგლისურ ენებს.** ღარიბ მსურველთ აძლევს გაკვეთილებს 4—5-დე უსასყიდლოდ.

ჭავჭავაძის ქ. № 24. (7—205—5)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана**.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**მ. ბ. ბეზირგანოვი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. გელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## ექიმი ნიკო ერისთავი,

ველიამინოვის ქუჩა № 34, ქ. ტფილისში, იღებს **ნერვები** ა **და შინაგან** სნეულებით **ავადმყოფთ** (გულის, ფილტვების, სტომაქის სატკივარნი) დილის 9—11 სათ., საღამოს 5—8 საათამ. აგრეთვე ავადმყოფ ბავშვებს. (3—210—1)


## ახალი ამბავი

*** დღეს, 20 ოქტომბერს, ღვთივ განსვენებულის ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე III სულის მოსახსენებლად ყოვლად სამღვდელო გორის ეპისკოპოსი კირიონი სიონის საკათედრო ტაძარში წირვასა და პანაშვიდს გადაიხდის. წირვა დილის 9 საათზედ დაიწყება.

*** ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის გ. ნ. სტეფანოვის ავადმყოფობისა გამო მისს თანამდებობას დროებით ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოს გამგე ბ-ნი თარხანოვი ასრულებს.

*** ქალაქის სასწავლებელთა კომისიაში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, შეუძლიან თუ არა კომისსიას ქალაქის პირველ და საწყისს სკოლების სალმრთო სჯულის მასწავლებლები თითონ ამოირჩიოს ხოლმე. ამ საგნის შესახებ კომისიის თავმჯდომარე იმ აზრისაა, რომ კომისიას უთუოდ აქვს ეს უფლება ისრევე, როგორც საეპარქიო უფროსებს არჩეულთა დამტკიცების უფლება აქვთ. თავმჯდომარემ ეს თავისი აზრი ქალაქის მოურავს აცნობა.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს ნებართვა მიუცია, რომ მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საურთიერთო დამხმარებელმა საზოგადოებამ საქველმოქმედო ბაზრობა გამართოს. შემოსავალი ამ ბაზრობისა მასწავლებელ და აღმზრდელ მოხუცებულ ქალთა თავშესაფარისათვის იქმნება გადადებული.

*** პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ გაზ. „ნოვ. ობოზრენიეს“, რომ ფოთის საურთიერთო

## ფელეტონი

### ტბეთის ტაძრის სახარება, ტყავზედ დაწერილი 1162 წ.

რამდენიც დრო გადის, იმდენად ჩნდება ახალ-ახალი საბუთნი ჩვენის ერის წარსულის დიადობისა და „ქირთა შინა მძლეთა-მძლეობისა“. ვინ წარმოიდგენდა, თუ უკანასკნელი ათი წელიწადი იმდენს ისტორიულს და არხეოლოგიურს საგანს აღმოაჩენდა, რამდენსაც სხვაგან იქნება საუკუნოთა განმავლობაშიაც ვერ მოუყარონ თავი! ვრწმუნდებით თანდათან, რომ ქართველი ერი უწინ საკვირველი რამ მოჩვენება ყოფილა სხვა ერთა შორის. ესრეთ დასკვნამდე მივყევართ მრავალ ისტორიულ-არხეოლოგიურ საგანს. აი, ამ ჟამად მკითხველთა ყურადღებას მივაქცევთ „ტბეთის სახარებას“ და „1170 წლის გუჯარს“, რადგანაც ორნივე აშარავანდედებენ თითქმის უცნობს მეფობას ძლიერის მეფის გიორგი მესამისას (1156—1184 წ.). ჩვენი მატიანე მაგდენად არაფერს ცნობას არ გადმოგვცემს. თურმე ნუ იტყვით, გიორგი III ეგრევე ღირსია დავით აღმაშენებელს დაუმშვენოს მხარი, როგორც ვახტანგ გორგასლანი, დავით კუროპალატი, ბაგრატ IV, თამარ მეფე, გიორგი ბრწყინვალე, ალექსანდრე დიდი, ლუარსაბ I, სიმონ I, ირაკლი II და სხ.

ამიტომ სიამოვნებით ვიღებ ხელში კალამს აღვნიშნო დღემდე უცნობნი, საისტორიო მატიანეთა ნაკლის შემავსებელნი საბუთნი.

„ტბეთის სახარება“ თავის თავგადასავლით ისევე საყურადღებოა, როგორც თვით ქართველი ერი, ტანჯული და წამებული; ვინ იცის საით არ წაუღიათ, საით არ უტარებიათ! ნიჟნი-ნოვგოროდი, ლისკოვო, მოსკოვი, პეტერბურგი, ტულა, ხარკოვი, ოსმალეთი და სხვ., საქართველოს კუთხეებს რომ თავი დავანებოთ. დღეს კი ეკუთვნის პატივცემულს იღუმენია ნინოს, რომლისათვისაც მოსკოვიდგან გამოუგზავნია გრაფინია ტოლსტოისას, ვახტანგ VI შთამომავალს მოხუცებულს ბატონიშვილს, ამ რამდენისამე წლის წინად. ეჭვი არა გვაქვს, რომ სახარება გატანილია საქართველოდგან სხვა მრავალ საერო საგანძურთან ერთად 1724 წ. შემოდგომაზედ მეფე ვახტანგ მეექვსის მიერ, და მისის ჩვენდა დაბრუნებისათვის დიდად უნდა ვუმადლოდეთ უბრწყინვალესს გრაფინია ტოლსტოისას. სახარება სიგრძით შვიდი გოჯია, სიგანით ხუთი. ყდა ტყავ გადაკრული ფიცრისა აქვს და შეჭედილია ოქროცურვილის ვერცხლით. ზედა პირზედ გამოყვანილია განსაცვიფრებელის ხელოვნებით ჯვარცმა (ჯვარი აქვს ?ოლოიანი) ხუცური ასომთავრულის წარწერით: „ი́ჴ ქ́ე მჳფე არიათ·ი“. ამ წარწერის დასწვრივ აქეთ-იქით ანგელოზები გამოყვანილი წელამდე. ჯვარცმულის მარჯვნივ „დედა ღთისაჲ“, მარცხნივ „ი́ე ლ́ისმეტყველი“, გარს მშვენიერი ჩუქურთამიანი არშია აქვს მოვლებული და ყველა ამა ჩუქურთმათა ხელოვნება დიდად მიემსგავსება ანჩის ხატისას კარებიანათ. მეორე ყდის მხარეს აგრეთვე არშიით მოვლებულია მაღლა სფეროში მაცხოვარი, რომელიც მარჯვნივ ხელგაპყრობით მდგომს პეტრე მოციქულს აძლევს ორს გასაღებსა, ხოლო მარცხნივ ხელ-გაპყრობითვე მდგომს პავლე მოციქულს—წიგნსა. ამ მოციქულებს შუა ხუცურის ამოზურცულის ასომთავრულით შემდეგი წარწერაა მოთავსებული: „✝. რომელაჲ: ბრძანა: მოძღ́რმან: თქ́მან: დასხდომ́ი: საყდართა: ზ́ა: დღესა: განკითხვასა:, მაშინ: მეოხ: მექმენით: სოლითა: საწყალობელს: ი́ნე: მ́სა: სფ́რელსა: ან.“ იოანე მიტროპოლიტი საფარელი, შემდეგ აღყვანილ იქმნა თამარდედოფლისაგან კათალიკოზად 1190 წ., ეცადინეობდა სომეხთა შემოერთებასა. ტბეთის სახარება ყდარი პეტრე-პავლეს სახელზედ იყო აღშენებული.

პირველ ყდას რომ ასწევთ, წაიკითხავთ რუსულად: Сіе Евангеліе писано въ 1040 г. отъ Р. Х. სახარება XVII საუკ. დამდეგს დაშლილი და აქა-იქა ფურცლებ დახეული ოსმალების, აგარიანთა ხელში ყოფილა და გამოუსყიდნია სახელოვანს მწიგნობარს ქართველ დედას, დედოფალ მარიამს. ამიტომ სათაური სარჩევი თალ-სვეტებიანი კანონები დაკარგულია. მათეს სახარების თავს უჭირავს 1—153 გვ., მარკოზისას 154—256 გვ., ლუკასას 257—432 გვ. და იოანესას 433—557 გვ. ოთხივ მახარებლების მხატვრობა მშვენიერია ჩვეულებრივ. მარკოზის ხატის წინ 178 გვერდზედ შემდეგი წარწერაა ხუცურის ასომთავრულით:

„პირო ღუთისაო:. სახარებაო:. მომიხსენე:. დედოფალო:. დედოფალი:. დადიანის:. ასული:. მა-იამ:. ამ სოფელს:. მადღეგრძელე:. მეორედ:. მოსვლკს გამომიხსენ:. რამეთუ:. აგარავანთ:. კელიდამ:. გამოგიხსენ:. წამხდარი:. და ნაწერ:. წაშლილი:. და ახლა დავაწერინე·. ვინც:. მიემთხვოთ:. მომიხსენებდეთ:.“

სახელოვანი დედოფალი მარიამ, მეუღლე როსტომ მეფისა 1634—1680 წ., ყველასაგან ცნობილია. აქა-იქა მოხეული კუთხეები გამთელებულია მშვენიერი პერგამენტით—XVII საუკ. 235 გვ. დაბლა არშიაზედ მხედრული წარწერაა:

„ქ. ღმერთო ტკბილო მოწყალეო:. ფარუმ:. ბეგს და მის მეუღლესა: ხვარამზეს: შეუნდევ:. მისი:. ცოდვანი:. და აცხოვნე.“

256 გვ. მარკოზის ბოლოს.

„სულსა თენქეს შ́ვრს: შენდნეს ღმერთმა ამინ ამ ნ მოციანიძეს მახარებელსა და მისსა მეუღლესა მზე-ქალსა შეუნდნეს ღმერთმა. ამინ. ამინ.“

613 გვ. წმიდათა პატივად საკითხავ სახარებათა მაჩვენებელის ბოლოს წითელის მელნით, ნუსხა ხუცურით სწერია:

„წ́ნო: ყოველნო: რომელნი: აღწერილ: ხართ: ზანდუკსა: ამას: შინა: კელითა: ჩემ: ცოდვილისა: იოანე: ფუკარელის ძისაჲთა: მეოხ: ეყვენით წინაშე ქრისტეს წმიდასა მამად მთავარსა პავლე მიტროპოლიტსა. ამინ იყავნ. ამ ნ.“

639—640 გვ.. მადლითა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისაჲთა, შეწევნითა და წარმატებითა წმიდათა და ყოვლად ქებულთა თავთა მოციქულთა პეტრეს და პავლესითა და ყოველთა წმიდათა: ღუთისა: ების მყოფელთაჲთა: ღირს ვიქმენ: არა ღირსი, სულითა: საწყალობელი პავლე: ჯუარის მყვანი: ღუთისა: მოწყალებითა: და სახარებათა მიერ: საყდარსა: ტბეთისასა: დაპყრობად: გამზრდელისა: ჩემისა: ღუთივ: გვრგვნოსანისა: მეფეთ მეფისა დიმიტრის მიერ, რომელი: მკვდრმცა: არს მარჯუენით: იესოჳ ქრისტესი და საყდარ-შეუალი, და მიანიჭა: ღმერთმან: ძესა (მისსა): გიორგის: მეფობაჲ: ღომთა უმკნესსა და არწივთა უმაღლესსა, და მისცა: ღმერთმან: ურიცხვ ძლევაჲ და გამარჯუებაჲ ყოველთა

კრედიტის საზოგადოების წესდება შეუცვლიათ.

*** თავ. შიხი ტუსიშვილისა, ვლად. ბარათაშვილისა, აზნ. გრიგოლ ოსიტაშვილისა და ალექს. ტერ-შმოვანოვის საქმე, რომელთაც გაბაშვილის მოკვლა ჰბრალდებათ, 30 ოქტომბერს გაირჩევა ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის განყოფილების მეორე დეპარტამენტში.

*** გუშინ, 19 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სამოქალაქო საქმეთა დეპარტამენტი შეუდგა თავ. მამუკა ორბელიანისა და ნიკოლოზ მიხეილის ძის არღუთინსკის შორის ატეხილ დავის განხილვას: არღუთინსკი უჩივის თავ. ორბელიანს ბორჩალოს მაზრაში 2 სოფლის გაშენებულ ადგილებს, ესრედ წოდებულ სარკინეთსა და ზემოკარაბულაღს. ამ საყურადღებო საქმის გარემოებას შემდეგ გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

*** ტფილისის ვაჟების მეორე გიმნაზიის იმ მოწაფეთა სასარგებლოდ, რომლებიც სწავლას წრეულ ამთავრებენ, 23 ოქტომბერს სახაზინო თეატრში წარმოდგენა იქმნება გამართული. მსურველთ ადრევე ბილეთების სყიდვა ამავე გიმნაზიის მოწაფეთაგან შეუძლიანთ. წარმოდგენის ორის დღის წინად-კი თეატრის კასსაში გაიყიდება ბილეთები.

*** საჯარო წიგნთ-საცავის საქმეთა გამგე კომისიას საჭიროდ უცვნია წიგნთსაცავის შენობა შეაკეთოს და ზოგიერთი ცვლილება მოახდინოს.

*** ხუთშაბათს, 19 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველ დეპარტამენტმა განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრის სოფელ სუხჩეს მცხოვრების ნიკოლოზ პეტრეს ძის მგელაძისა, რომელსაც ბრალად ედებოდა, რომ მან 1899 წლის 19 აპრილ'ს ღამით დასწვა თავისი სახლი ქალაქ ბათუმში, რათა „როსსიის“ დამზღვევ საზოგადოებისაგან 4000 მან. დასაზღვევი ფული მიეღო. გამოირკვა, რომ ვერავითარი საბუთი ვერ აღმოუჩენიათ იმისა, თუ მართლა მგელაძემ განზრახ დასწვა თავისი სახლი და არა შემთხვევით ეწია ეს უბედურება. ბრალდება დამყარებულია ექსპერტების ანგარიშზედ, რომლითაც გელაძის სახლის ღირებულობა 1500 მანეთამდე ყოფილა, ხოლო ამის ნაცვლად იმას 4,000 მან. დაუზღვევია. თვით მგელაძეს თავი დამნაშავედ არ გამოუცხადებია და უთქვამს, რომ განზრახვითაც რომ დამეწვა ჩემი სახლი, რა მოგება მექნებოდა, როცა 6000 მან. მიღირდა და მის ნაცვლად საზღაური მხოლოდ 4,000 მან. უნდა მიმეღოო. ეს საქმე პირველად განუხილავს ქუთაისის ოლქის სასამართლოს, რომელსაც დამნაშავედ უცვნია ნიკოლოზ მგელაძე და გარდაუწყვეტია ყოველისავე უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და 8 წლის ვადით კატორგაში გაგზავნა. ბრალდებულს პალატაში იცავდა ბ-ნი ოპოჩინინი. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი.

*** ტფილისის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარემ ბ-ნმა ვრასკიმ სთხოვა ქალაქის მოურავს, რომ მცირე-წლოვან დამნაშავეთა ახალშენს ქალაქმა დროებით ფულით შემწეობა აღმოუჩინოს და ეს საგანი განსახილველად საბჭოს წარუდგინოს. როგორც ვრასკის ცნობიდგან სჩანს, აღნიშნულს ახალშენში მყოფ მცირე-წლოვან დამნაშავეთა შორის ნახევარზედ მეტი ქალაქის მცხოვრებთა შვილები თურმე და ქალაქი-კი მხოლოდ 500 მან. იხდის წლიურად, მაშინ როდესაც ახალშენის შენახვა წელიწადში 1200 მან. ჯდება.

*** 18 ოქტომბრიდგან ტფილისსა და ბაქოს შუა სწრაფი მატარებლები №№ 1 და 2 დადიან.

## წერილი ზესტაფონიდგან

საზოგადოდ შორაპნის მაზრა სწავლა-განათლების მხრივ ძალიან ჩამორჩენილია. სკოლების რიცხვი თითქოს ერთ წერტილზედ გაიყინაო, იშვიათად-ღა გაიგონებთ, რომ აი აქა-და აქ სკოლა გაიხსნაო. ამ ბოლოს დროს საეკლესიო სკოლებსაც ცუდი დრო დაუდგათ: არა თუ გამრავლება, წელს ზოგიერთი იმათგანი „გაჰქრა, ვითარცა ცვილნი, პირისაგან ქვეყნისა“, რადგანაც ნაძალადევი სკოლა, სადაც ულაგოალაგას გაჯახირებული ვერას დროს თავისს მიზანს ვერ მიაღწევს. თუ მაზრაში საქმე ასე უნუგეშოდაა, თვით მაზრის შუაგულში, ზესტაფონში, მთლად სატირალია. უკანასკნელს წლებში გართულებულმა ცხოვრებამ სწავლის სურვილი ყველას გაუღვიძა. აქაური სკოლები, სამინისტრო თუ კერძო სავსებით სავსეა მოსწავლეებით, სასწავლებელს გარედ უფრო მეტი რჩება, მაგრამ თითქოს ჯადოთი ვიყვნეთ შეკრულნი, ვერა გვიღონია-რა და ვერ მოგვიხერხებია, რომ ერთი ოთხ-კლასიანი სასწავლებელი მაინც არის დავიარსოთ, რომ ქუთაისში ამ გვარსავე სასწავლებელში შვილის შენახვა ერთიხუთად მეტი არ გვიჯდებოდეს. ჩვენი დამღუპველი უთანხმოება და ერთმანეთის მიუყოლელობა ყველგან ცხვირში გვცემს: ერთი ჯგუფი თავისთვის ფუსფუსობს, მეორე რაღაცას ცალკე აკეთებს, ან-და კიდევ უკეთესი: ერთი რომ გაკეთებასა სცდილობს, ორი და სამი იმის მონატრულია, რომ როგორმე დავანგრიოვო და, რაღა თქმა უნდა, სანამ ამ გვარ მიმართულებას ბოლო არ მოეღება, არც არაფერი საერთო საქმე გაკეთდება. რა გინდა სული და გული! ხალხი გამრჯელი, მხნე, ახალის ცხოვრების ალღო-აღებული, ვაჭრობა-მრეწველობის მიმდევარი და შედარებით ფულითაც შეძლებული, მაგრამ სატირელიც ის არის, რომ ამ ფულის შეძენის მადას სხვა ყველაფერ გრძნობაზედ მეტი ალაგი უჭირავს თვითოეულის არსებაში და საიდგანაც ფულს არ გამოელის ზესტაფონელი, იმისთვის თავს დიდად არ იწუხებს. აი თუნდა მაგალითიც. რა აურ-ზაური, რა შეხეთქება, რა ხარჯი არ გამოიწვია „ბაზრობიამ“. მერე რისთვის თუ იცით? ბაზრის „წათრევა“ ავად იქნებოდა, თუ კარგად, სულ ერთია, ფულს მოჰმატებდა „სატურიელებს“ და, მაშასადამე, ხარჯიც არ იყო დასაშური. ვამბობ „წათრევას“ იმიტომ, რომ ეს მართლა წათრევა იყო, ბაწრით-კი არა, ჯაჭვით, რადგანაც ხალხს, ამ ბაზრის სულსა და გულს, ზევით წასვლა ისე არა ჰსურდა, როგორც მე და თქვენ რკინის გალიაში ჯდომა, მაგრამ... „ძალა ხომ აღმართსა ჰხნავს“ და მათრახიც, ადამიანს-კი არა, ცხოველსაც კანს უწვავს და უწყლულებს! ასეთ საქმეებზედ აქედ ძალა მუდამ ბევრი იხარჯვის, სხვაზედ დასახარჯავი-კი არაფერი რჩება. როდის მოეღება ბოლო ამ გვარ მდგომარეობას, ღმერთმა იცის!

სოფ. კულაშის საზოგადოებამ 17 ენკენისთვეს განაჩენი დაადგინა, რომ იქაური ნორმალური სასწავლებელი საქალაქო სასწავლებლად იქმნეს გაკეთებული. „ქვემოთი“ ამ მხრივ დალოცვილ'ია; ევება ზესტაფონმა ამ სოფელს მაინც არის მიჰბაძოს!

საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს აქაურმა განყოფილებამ წელს ზესტაფონში დედათა სასწავლებელი გახსნა. ძლიერკარგი საქმეა საზოგადოდ სკოლის გახსნა, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ ორიოდე სიტყვა უეჭველად უნდა ვუძღვნათ ამ ახალს საქმეს. ჩვენის აზრით, ჯერ საჭირო იყო ერთ-სულ და ერთ-გულ ყველას გვემეცადინა, რომ ერთი სავაჟო სასწავლებელი შეგვექმნა და გზა მიგვეცა იმ სამას-ოთხასი ბავშვისათვის, რომელნიც აქაურ დაბალ სკოლებში სწავლობენ; ჯერ იმათთვის მიგვეხედნა და შემდეგ ქალებისათვის, რომლებიც კერძო სკოლებშიაც კარგად შოულობდნენ ბინას. ეს „სულიერი მამები“ არც ერთ კრებაზედ არ გვინახავს, როცა სავაჟო სასწავლებლის შესახებ გვქონდა ყრილობები, არც ერთი სიტყვა ხალხში არ დაუხარჯავთ და აქ-კი განყოფილების თავმჯდომარემ დიდი უნარი გამოიჩინა, რომ როგორმე თავისი გაეყვანა და „შინაური მტრები“ დაემარცხებინა. დეკ. დ. ლ—ძემ, განყოფილების წევრმა, დასაბუთებული მოხსენება წარადგინა განყოფილებაში: ამ გზით სკოლის გახსნა არ არის კანონიერიო. ამის შესახებ განყოფილების თავმჯდომარემ წევრ-რებითურთ პასუხად ის დაადგინეს, რომ განყოფილების წევრს უფლება არა აქვს ასეთი მოხსენება შემოიტანოსო. სჩანს, ვერა ყოფილა საქმე მთლად კარგად... განყოფილების სულის ჩამდგმელებმა ისურვეს: გავხსნათ ეხლავე სამი განყოფილებაო (პირველი კლასი), ესე იგი გამოვგლიჯოთ კერძო სკოლებს ქალები და ჩვენ ვასწავლოთო. ყოველგვარს საქმეს უნდა გავუსინჯოთ ზნეობრივი მხარე და, თუ ეს მხარე კოჭლობს, მაშინ საქმეც თანაგრძნობას მოკლებული იქნება. ჯერ არ გამოუკითხავთ, არ გაუგიათ: როგორ და რა პირობებით ასწავლიან ქალებს აქაურს კერძო-სკოლებში და იძახიან: ქალები ყველანი ჩვენთან გადმოვლენ, სამი განყოფილება გავხსნათო და კერძო სკოლების კლანჭებიდგან განვათავისუფლოთ. გვეტყვიან, ასე არ დაგვიდგენიაო. იქნება ასეც იყოს, მაგრამ სამი განყოფი-

---

წინაალმდგომთა მისთა ზედა მეხუთესა: წელსა: აი (ლო: აგარიან)თგან (ურიც)ხვთჱ ანითსს... თასითა კაცი... და ეზომი გამარ(ჯუჱბაჲ) იყო: გამრავლება, რომელ: მსგავსად: აბიმელექისა: და ზედეონისაჲ მცირითა ერითა სძლო ურიცხვსა: სიმრავლესა: ბარპაროზთასა და მოკლვით და ტყუჱობით: ოცდა თექუსმეტი: ჩ: კაცი დაუტევეს საჭურჭლე: ურიცხვ: კარვები: ცხენი: აბჯარი: და ყოველი: იგი: ქონებჲ: მათი: დაიპყრეს: თავადი: ამირაები: სოქ-ქამანისძე ძლივ წარვიდეს: დაკოდილ: წამოგდებული: ღმერთმან: უმეტესი: ძლევაჲ: და წარმართებაჲ: მისცეს: მეფობასა: მათსა: და კურთხევაჲ საუკუნოჲ და დიდებაჲ: ღუთაებისა: თჳსისასა: იზიაროს: ამინ. საყდარსა: ტბეთისასა... წიგნნი მრავალნი... გულანისა კითხვაჲ საჭირო: იყო: და დიდად: იჭირვებოდეს: და დავაწერვინე: ესე: ოთხთავი: სრული: და უნაკლულოჲ: კარგითა და მართლითა: ზანდუკითა: და კანონითა: სალოცავად: ღუთივ: გვრგვნოსანთა მეფეთა: Დიმიტრი: გამზრდელისა: ჩემისა: Ბიორგი: ძისა: მისისა: და საკისრად: საწყალობელისა: სულისა: ჩემისა: და მოსახსენებელად: მშობელთა: ჩემთა: მიქელ და მარიამისა: და ძმათა ჩემთა: Ბიორგი, Თეოდორე: Ქვრიკეს: დათა: ჩემთა: ცხორება: Ბურანდუხტი და Ნონაჲს: დისწულთა ჩემთა Ნიკოლოს ქუთათელ მთავარ ეპისკოპოზისა: არსენი ქუთათელისა: მთავარ ებისკოპოზისა: Იოანე: Ანჩელისა: მთავარ ებისკოპოზისა: Ანტონი: Ოპიზისა: წინამძღურისა: Არსენი Დიმიტრის: მეფისა: მწირველისა: და ყოვ ლთა: თჳთა: და ნათესავთა: ჩემთათჳს: დავდევ: საყდარსა: Ⴒ ბეთისასა: წმიდათა: მოციქულთასა: წმიდაჲ: ესე: ოთხთავი: ზატიკნი: პარაკლიტნი: დავითნი: და სტიქარონნი: და დავასუჱნე ხატთა თან...“

მეფე დემეტრე, ძე დავით აღმაშენებლისა, გამეფდა 1126 წ. (იხ. ქრონიკ. I ჟორდანიასი 248 გვ., 1139 წ. ქვეშე). ვფიქრობ ბ-ნ თ. ჟორდანიასთან ერთად, რომ დემეტრე მეფე ბერად შესდგა 1155 წ. დანიელის სახელით და †1158 წ. (იხ 258 გვ. ქრონიკ. I ჟორდანიასი). დემეტრეს ძის გიორგი III-ს გამეფებას საეკლ. მუზ. ხელნაწერი № 85 გვიჩვენებს 1156 წ. ამ ქრონიკას სავსებით ამოწმებს და უეჭველ ამბად ამტკიცებს წარწერა სამთავისის ტაძრის დასავლეთის კედელზედ, ფანჯრის მარცხნივ:

„ხატ: ღუთაებისაო: ადიდე: შენ: მიერ: დამყარებული: და უძლეველი: ღვთივ: გვრგვნოსანი: ყოვლისა: აღმოსავლეთისა: მეფეთ: მეფე: გიორგი:... მეფობისა მათისა... აღვაშენე კარიბჭე: ესე: სალოცველად მეფობისა: მათისა: ინდიკტიონსა მეფობისა: მათისასა: იბ: ქორონიკონი: იყო: ტპჱ“.

ქორონიკონი 388 (780+388=) უდრის 1168 წ. მაშასადამე 1168 წ. რომ გამოვაკლოთ მე-12 ინდიკტიონი (1168—12), მივიღებთ 1156 წ.

მართალია თუ არა ნეტარხსენებული პავლე მტბევარი, რომ გიორგის ასე აქებს, რომ მისს სიმხნესა და გონების მახვილობას დომისა და არ[...]ვისას ადარებს, მისს ძლევა მოსილობას აბიმელექისას და გედეონისას უდარებს,—ამის დასამოწმებლად მოვიყვან ქ.-ცხ. ცნობას: „ქ...რომლისა (გიორგისსა) მოისრობასა ვერარომელი სახელგანთქმული მოისარი, პირველ ანუ მის ჟამისა, ესწორებოდის.—266 გვ. „...აღმოსავლეთისა და კერძო ჩრდილოეთისა მეციხოვნისა და ზღუართა დამდებლისა (გიორგის) და ზღუათა ზღუამდინისა .. მზე მნათობთა შორის, ალექსანდრე და ქაიხოსრო მპყრობელთა შორის, აქილევ, საბსონ და ნებროთ გმირთა შორის, სპანდიართა ამათ და სიაოშ გოლიათთა შორის, სოლომონ, სოკრატ და პლატონ ბრძენთა შორის...“ (იხ. ქრონიკ. ჟორდანიასი 256—258 გვ.) მართლაც გიორგი III გამეფების უმალ ებრძვის არარატის მიდამოებში განძლიერებულ მაჰმადიანებს; ამ ამბებს უცხო მწერალნი უფრო დაწვრილებით გადმოგვცემენ, ვიდრე ჩვენი მატიანე: 1157 წ. კალზევანის მხარე დაიპყრო; 1159 წ. არარატის მხარე; ხოლო მეხუთესა წელსა (1156+5) 1161 წ. დაუპყრია ქ. ანისი და მისნი მიდამონი; დოვინის ბრძოლაში გამარჯვებულმა 60,000 ტყვე წამოასხა. (იხ. ქრონიკ. 258 გვ.) ამიტომ ჩვენი „ტბეთის სახარების“ წარწერა სრულიად ალავსებს და ნათელსა ჰფენს გიორგის მეფობასა, რომელსაც მეხუთე წელს მართლა აუღია ქ. ანისი, მცირე ჯარითა (სამი ათასის კაცით) დაუმარცხებია ურიცხვი მტერი, რომელსაც დაუკარგავს დახოცვითა და ტყვეობით 36,000 კაცი, და მთელი ბანაკი. ეს ამბავი აღწერილია ქ-ცხ. 269—270 გვ. ჩვენი წარწერის „სოჟ. ქამანისძე“ და ქ-ცხოვრების (270 გვ.) ქანის ძე ვინ არიან? ამას შემდეგი აღმოაჩენს. ტბეთის ტაძარი მდებარეობს აჭარ[...]აში. მისთვის იხ. გეოგ. ვახუშტ. 112 გვ. და „Три мѣсяца въ турец. Грузіи“. Г. Казбека. პავლე ჯვარის მტვირთველი, მეფე დემეტრე'ს აღზრდილი და მისგანვე ტბეთის ეპისკოპოსად დადგენილი, დღემდე ცნობილი არ იყო. ეტყობა წარჩინებულ გვარს ეკუთვნის, რომ ამოდენა მღვდელთმთავართა — ნიკოლოზ და არსენი ქუთათელთა, იოანე ანჩელ მთ. ეპისკოპოსს, ანტონი ოპიზარს — ყველას თვისად იხსენიებს და ასე დაახლოვებული ყოფილა მეფის კარზედ და ასე ზედ-მიწევნით მცოდნე მეფის მოქმედებისა. ნიკოლოზ და არსენი ქუთათელნი არ არიან ცნობილნი დღემდე. იოანე ანჩელი არის შემდეგ თამარ მეფის „ბრძანებითა და ნივთის ბოძებითა“ შემამკობელი ანჩის პირი ღვთის ხატისა, რომელიც დღეს ტფილისში ასვენია. ანტონ ოპიზარი, ეჭვი არა გვაქვს, არის საღირის ძე, დიდებული გვარის შვილი, შემდეგ ქუთათელი, რომელმაც 1184 წ. მეფე ცხებულს თამარ მეფეს მიართვა გვირგვინი (იხ. ქ ცხ. 278 გვ.):

„...ვინათგან ლიხთ-იმერთაგან იყო დადგმად გვრგვნსა თავსა სამეფოსა (თამარისსა), აწვიეს მონაზონი ღირსი მადლით შემოსილი, მთავარ ეპისკოპოსი ქუთათელი Ანტონი საღირის ძე მიღებად გვრგვნისა და სრულ ყვეს რა კურთხევაჲ დალოცეს მაშინ კახაბერი კვირიკეს ძე, ერითსავი რაჭისა და თავ-კვერისა, და სრულ-ჰყვეს მოხელეთა სვიანთა და დიდებულთა ვარდანის ძეთა, საღირის ძეთა და ამანელის ძეთა მოღებად და დადებად კრმლისა...“

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნიკოლოზ და არსენი ქუთათელნიც საღირის ძენი არიან.

ჩვენი მატიანე ქართლის ცხოვრება ამნაირად ჰმოწმდება და მტკიცდება თან-და-თან ახალის ცნობით. ახლა ჰკითხეთ, პატკანიანცებს და მათ დამქაშებსა — რას ბრძანებენ? იქნება ესრეთი ისტორიულნი საბუთნი და მოწმობანიც ლეგენდარულად, ზღაპრულად ჩასთვალონ?

ახლა ვიკითხოთ: რომელს წელს არის ტბეთის სახარება დაწერილი? ჩვენის მოსაზრებით, იგი დაწერილია 1161—1162 წლებში უთუოდ. უამისოდ სიხარულისაგან ატაცებული პავლე განა გაჩუმდებოდა და უფრო მეტის ქება-დიდებით არ მოიხსენებდა მეფე გიორგის შემდეგთა გამარჯვებათა! ანისის აღების შემდეგ (1161 წ.) ზედი-ზედ ისეთი დიდნი გამარჯვებანი მოჰყვნენ, რომ მთელი სპარსეთი და დასავლეთი აზია შეიძრა.

პ. ცხვილოელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების შედეგნა? ჰქონდათ-კი განა ამგვარი ფიქრისა და ლაპარაკის უფლება? ვნახოთ: ქ-ნი მ. ზ. გაჩეჩილაძე რვა ქალს, ორ უფასოსთან ერთად (სულ 10) ასწავლიდა თვეში 1 მ. 50 კ.-ად თითოს; სკოლა ექვემდებარება სახ. სკ. დირექციას; ბ-ნი კელენჯერიძის სამრევლო სკოლაშიაც თითქმის ამდენივეა (სულ 11, 3 უფასოდ, 8 ფასით). დედათა ახალს სკოლაში სწავლის ფასი 12 მანეთია წელიწადში. მგონი ვერც იმას გვეტყვიან, რომ ახალ სკოლაში სწავლის საქმე უკეთესად იყოს დაყენებული, ვიდრე ძველ სკოლებში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოსწავლე-ქალებმა კერძო სკოლებიდგან უკვე იწყეს იქ გადასვლა. ჩვენი სკოლა ორ-კლასიანია, იქ სწავლადამთავრებულებს მოწმობებსა და „უფლებებს“ მივსცემთო, ასე აუხსნეს ხალხს, რომელსაც ეს „უფლებები“ მართლა რაღაცა ჰგონია, და ისე გადაიტყუეს. ამ გვარი საქციელი კი სწორედ ვერ არის მოსაწონი: რაკი ხალხი ერთხელ ტყუილს გაიგებს, მეორეჯერ აღარაფერში გვენდობა. ეს-კი, მგონია, არ არის სასურველი, მით უმეტეს, რომ სავაჟო სასწავლებლის დაარსების საქმე კარზედ გვადგია. საბჭოს განყოფილება ბევრით უკეთესს იზამდა გაეხსნა ჯერ პირველი განყოფილება, თუ-კი საამისოდ მოსწავლე ქალები მოიძებნებოდა, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ასეთი სურვილის მქონე ოთხი-ხუთი ძლივს აღმოჩნდა. ყოველ წლივ ასიოდე ყმაწვილი სკოლას გარედ ატირებული რჩება; ერი და ბერი ყველა იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ ამ ყმაწვილებს ერთი რიგიანი სასწავლებლის დაარსებით თავშესაფარი ვუშოვოთ; აქ კი ოთხი-ხუთი ქალისათვის სკოლა უდავაარსოთო და ერთი ალიაქოთია. აი ამაზედ იხარჯება ჩვენი ხალხის ძალა! მეტი გზა-კვალის დაბნევა განა-და იქნება? ასეთი სურვილი უბრალო ამოჩემებაა და მეტი არაფერი, მაგრამ „ღმერთმა ერთი ვით აცხონოს, თუ მეორე არ წასწყმინდოსო“, ისე მოგვდის.

მეთვალყურე

# რუსეთი

პეტერბურგის სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში 10 ახალი სტიპენდია არსდება მკურნალის მოკიევსკის სახელობაზედ, რომელმაც 158,000 მან. შესწირა ამ აზრით. თითო სტიპენდიანტს 360 მან. მიეცემა. იმავე აკადემიაში 12 სხვა სტიპენდია არსდება ტუჩინსკების სახელზედ, რომელთაც 360,000 მან. შესწირეს. ამ ფულიდგან თითო სტიპენდიანტს 480 მან. მიეცემა.

— რუსეთის რკინის გზათა მოძრაობის სამსახურის წარმომადგენელთა მეXIII კრება დონის როსტოვში იქმნება მოწვეული.

— გაზ. „Петерб. Вѣд.“-ის სიტყვით, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სხვა-და-სხვა საშუალებანი შეუმუშავებია, რომ იმ ადგილებში, სადაც თამბაქო მოჰყავთ, საუკეთესო ხარისხის თამბაქოს მოუვანა სინჯონ, ამასთანავე შეისწავლონ თამბაქოს სხვა-და-სხვა სენი, ამათ წინაამდეგ საბრძოლად საშუალებანი შეიმუშავონ და სხ.

— გაზ. „Сынъ Отечества“ საჯარო ვაჭრობით რაპპოპორტს დაჰრჩენია 5670 მან. „Живописное Обозрѣніе“ ტარასოვს შეუძენია 1,138 მან.

— როგორც გაზ. „Россія“ იუწყება, ფინანსთა სამინისტრო 30,000 მან. გადაუდვია პეტერბურგში ღოთებისათვის სამკურნალოს დასაარსებლად. სამკურნალო სამხედრო-სამკურნალო აკადემიასთან იქმნება დაარსებული.

— განსვენებულის პროფესორის ა. დ. ლვოვის ქვრივს 5000 ტომი სხვა-და-სხვა წიგნი შეუწირავს დედათა უმაღლეს კურსების წიგნთ-საცავისათვის.

— საკომერციო ცოდნათა გამავრცელებელ საზოგადოებასთან შემდგარს კომისიას, რომელსაც რუსეთში უმაღლეს საკომერციო სასწავლებლის ორგანიზაციის საქმე ჰქონდა მინდობილი, უკვე დაუსრულებია მუშაობა. პროექტს მალე ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო კომისიას წარუდგენენ.

# უცხოეთი

**ინგლისი და გერმანია.** ინგლისს გერმანიის ხელშეკრულების შესახებ გაზეთ „Temps“-ს ლონდონიდგან სწერენ: „დიპლომატიურ წრეებში თანდათან უფრო დიდად აფასებენ ინგლისს-გერმანიის ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულებაო, — ამბობენ აქა, — ინგლისმა და გერმანიამ ერთმანეთის შიშით დასდეს, რათა ერთ-ერთ მათგანს ხელთ არ ეგდო მთელი იანძეს ველი და მეორე ცარიელზედ არ დაესვა. ინგლისს, როგორც ვუწყით, უოველთვის თვალი ეჭირა ამ ველზედ. ეს სახელმწიფო იმ თავითვე სცდილობდა, მდიდარი და მჭიდროდ დასახლებული იანძეს ველი თავისს ბაზრად გაეხადნა. მაგრამ არც გერმანიაა ნაკლებ დაინტერესებული; იმისი ვაჭრობა-მრეწველობა დღეს დიდ ბაზარს მოითხოვს, ხოლო თუ გერმანიამ ასეთი ბაზარი არ მოიპოვა, სამრეწველო კრიზისს არ ასცდება. კარგა ხანია ამ სახელმწიფომ ყურადღება მიაქცია ჩინეთს საზოგადოდ და იან-ძეს ველს კერძოდ. რათა შემდეგში ამ ველის კარები არ შეჰკროდა, გერმანია კომპრომისს დასთანხმდა და ხელ-შეკრულებას ხელი მოაწერა. არეულობის დაწყებისას ჩინეთში ინგლისმა მოისურვა თავისის ჯარით იან-ძეს ველის დაჭერა. გერმანია ძალიან შეაშფოთა ამ ამბავმა. იმა'ც და საბედნიეროდ, ინგლისის განზრახვას წინ აღუდგა საფრანგეთი, რომელმაც განაცხადა, თუ ინგლისი გაჰგზავნის ჯარს იან-ძეს ველზე, მეც გავგზავნიო. სწორედ იმის შიშმა, რომ ინგლისმა ოდესმე ხელთ არ იგდოს იანძე, აიძულა გერმანია, მოლაპარაკება დაეწყო ხელშეკრულობის დადების შესახებ. დაუმატებთ, რომ ეს ხელშეკრულობა საიდუმლოს არაფერს არ შეიცავს. ამბობენ, რომ მესამე მუხლი რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართულიო. ეს აზრი სიმართლეს მოკლებულია. მესამე მუხლში გამოთქმულია, რომ თუ რუსეთი არ მიემხრობა ხელშეკრულობას და მოისურვებს მანჯურიის შენარჩუნებას, მაშინ ინგლისი და გერმანია იანძეს ველს ერთმანეთში გაიყოფენო. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს მოლოდინი არ გამართლდება, რადგანაც რუსეთმა წინადვე განაცხადა, არა მსურს მანჯურიის შემოერთებაო“.

**ჩინეთი.** ერთ გაზეთში ვკითხულობთ: „ამბოხება სასტიკად ძლიერდება სამხრეთ ჩინეთში. იმპერატორის ჯარი უოველ დღე მარცხდება. მეამბოხენი გამაგრდნენ ადმოსავლეთ მდინარის მიდამოებში. დიდი ქალაქები მათ უკვე დაიჭირეს. ეხლა მეამბოხეთა მეომარნი უოველის მხრიდგან კანტონს უახლოვდებიან. თუ ეს ქალაქი ვერ აიღეს (რაც ძალიან საეჭვოა), გზას მაინც შეუკრავენ როგორც ხმელეთიდგან, აგრეთვე მდინარიდგან. ბევრს მდინარეებში მეამბოხეთ ნაღმები ჩააწყეს. მათმა მეთაურმა სუანჩენმა დიდი სახელი გაითქვა მთელ სამხრეთ ჩინეთში. იმპერატორის ჯარი უომრად გარბის, როდესაც იგებს, რომ მეამბოხეთ თვით სუანჩენი უფროსობსო. ეს მეამბოხენი არაფრით არა ჰგვანან მოკრივეებს: რამდენად მოკრივენი სასტიკად და უწყალოდ ექცევიან უმწეოთა და უპატრონოთ, იმდენად პირველნი გულ-კეთილობას იჩენენ და არავითარ ვნებას არ აყენებენ მშვიდობიან მცხოვრებთა და უცხო-ქვეყნელთ“.

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ბურები აღარა ხუმრობენ; იმათ, ვინც იარაღი დაჰყარეს და რობერტსს პირობა მისცეს, აღარ ვიომებთო, ხელახლა აისხეს იარაღი და შეუდგნენ ბრძოლას. დევეტისა, დელარეისა, შტეინისა და სხვა წინამძღოლთა რაზმებს უოველ-დღე ახალ-ახალი მეომარნი ემატებიან თურმე. ბევრნი ბურების ასეთ აღფრთოვანებას თვით ინგლისელებსავე აბრალებენ. საქმე ისაა, რომ ინგლისელები მეტად სასტიკ'ად ექცეოდნენ მშვიდობიან ბურებს: აქცევდნენ იმათ სახლებს, ართმევდნენ სარჩო-საბადებელს, აპატიმრებდნენ მამა კაცებს. ამას წინად, რობერტსის ბრძანებით, პრეტორიიდგან გადაიყვანეს 3000 ქალი და ბავშვი და იქითკენ გაისტუმრეს, სადაც ბურების ჯარი იდგა, წადით თქვენებთანაო. კოლსბერგიდგან კიდევ რკინის გზით დამე ბურების ქალები სადღაც გაისტუმრეს. არავინ იცის, რას უპირებენ ინგლისელნი ამ ქალებს. ამ რიგად ინგლისის გენერლები აღარც ქალებს და აღარც ბავშვებს აღარ ინდობენ. აი, სწორედ ასეთმა სასტიკობამ გაამწარა ბურები. წინად ეგონათ, რომ გამარჯვებულნი რბილად მოგვექცევიანო, მაგრამ ბოლოს დარწმუნდნენ, რომ ინგლისელებისაგან კეთილი არაფერი მოელით. სულ ერთია, მაინც გვტანჯავენ, გვაწვალებენ და სიცოცხლეს გვასალმებენ, ისა სჯობია, ჯარში წავიდეთ და იქ დავიხოცნეთო.

**ინგლისი.** როგორც „Daily Express“-ი იუწყება, ინგლისის სამინისტროში ასეთი ცვლილებანი მოხდება. გარეშე საქმეთა მინისტრობას სალისბიური ბალფურს გადასცემს; თვით სალისბიური მინისტრ-პრეზიდენტობას-ღა იტოვებს, ზღვათა მინისტრად რიტჩი იქმნება დანიშნული, ხოლო ჩემბერლენი და ლანსდოუნი თავიანთ პორთფელს შეინარჩუნებენ.

**იაპონია.** იაპონიის ახალი კაბინეტი შემდეგის მინისტრებისაგან შესდგება: მარკიზ იტო — მინისტრ პრეზიდენტი, ვატო გარეშე საქმეთა მინისტრი, სუეცამაცუ — შინაგან საქმეთა მინისტრი, უატანაბე — ფინანსთა მინისტრი, ბარონ კანეკო — სჯულის საქმეთა მინისტრი, ხაგაში — ვაჭრობისა და მიწადმოქმედების მინისტრი, ხოში — გზათა მინისტრი, კაჩურა — საერო განათლების მინისტრი და იამამატო — ზღვათა მინისტრი. ეს ეხლანდელი გარეშე საქმეთა მინისტრი ვატო წინად იაპონიის წარმომადგენლად იყო ლონდონში.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, სპარსეთის შაჰს მეტად ძვირად დასჯდომია ევროპაში მგზავრობა. იმ ძვირფასს ნივთების გარდა, რომელიც თეირანიდგან წაუღია და ევროპაში დაურიგებია, შაჰს ამ მგზავრობის დროს დაუხარჯნია სულ 12,500,000 ფრანკი. ამისდა მიუხედავად შაჰი ევროპაში მერმისსაც აპირობს თურმე წასვლას.

* * *

საკვირველ ამბავს იუწყებიან ამერიკიდგან: კაპიტანს ბეკკერს გამოუგონია ერთგვარი ელექტრონის ვაგონი, რომლისთვისაც სახელად ვაგონი-ყუმბარა უწოდებია. ამ ვაგონისათვის მხოლოდ ერთი რელსია საჭირო, საათში იგი 300 ვერსამდე გაივლის. ვაგონი უკვე გაუკეთებიათ და ამ დღეებში გამოსცდიან კიდეც ნიუ-იორკ-სან-ფრანცისკოს ლიანდაგზედ. ნიუ-იორკსა და სან-ფრანცისკოს შორის გავლას ჩვეულებრივი მატარებელი 5 დღე-ღამეს უნდება, ბეკკერის ვაგონი-კი, როგორც ამბობენ, 24 საათს გაივლის.

* * *

ნიუ-იორკის გაზეთები დაწვრილებით აღგვიწერენ ერთის ძაღლის დასაფლავებას. ერთ მილიონერს, ვინმე სებერჯერს, ამას წინად მოჰკდომია საყვარელი ძაღლი „ბობი“. „დაძმარებულმა და დაღონებულმა“ ოჯახმა დიდის ამბით დაასაფლავა „ძვირფასი და საყვარელი“ მეგობარი. კუბო, რომელშიაც „ბობი“ განისვენებდა, ყვავილებით შემკულ პაწაწკინა ეტლში ჩასდეს. ეტლი სებერჯერის ორ ბავშს მიჰქონდა; მუსიკა ამ დროს სამგლოვიარო მარშს უკრავდა. როდესაც კუბო საფლავში ჩაუშვეს, მუსიკამ „Wacht am Rhein“ შეასრულა, ოჯახის მეგობარმა შპაკენბერგმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც დიდად შეაქო „ბობი“. ამ სიტყვის დროს თვით სებერჯერი მწარედა სტიროდა თურმე. შემდეგ უთქვამს მილიონერს, რომ შვილის სიკვდილი ამაზედ მეტად არ მეწყინებოდაო. სებერჯერს განუზრახავს ძაღლის საფლავზედ სამაგალითო მატურის დადგმა. პროექტის შემუშავება რამდენიმე სკულპტორისათვის მიუნდვია.

* * *

ნეაპოლის მახლობლად, ბოსკორკალში, მეცნიერნი ამ რამდენისამე ხნის წინად საარქეოლოგიო აზრით მიწის თხრას შეუდგნენ. როგორც გაზეთები იუწყებიან, უკვე აღმოუჩენიათ მიწის ქვეშ მთელი სასახლე ძველის რომაელისა. სასახლე სამაგალითოდაა მოწყობილი თურმე. კედლებს იმ დროის შესანიშნავ მხატვართა სურათები ამშვენებს. კარგად შენახულა სამზარეულოც ათასნაირის ჭურჭელითა და ნივთებით. როგორც წარწერიდგანა სჩანს, ეს სასახლე ქრისტეს დაბადებამდე ორის საუკუნის წინად ყოფილა აგებული. იტალიანური გაზეთები ამბობენ, რომ ამ საუკუნეში არქეოლოგებს ასეთი არაფერი არ აღმოუჩენიათო.

* * *

როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ამას წინად პარიჟში საფრანგეთის მთავრობამ ნადიმი გაუმართა ქალაქსა და სოფლის მოურავებს, ამ ნადიმს 22,000 კაცამდე დაესწრო. პრეზიდენტ ლუბეს აზრადა ჰქონდა ნადიმის დაწყობამდე ყველა სტუმრისათვის ხელი ჩამოერთვა, მაგრამ ამ განზრახვას თავი გაანება, რადგანაც მეტად დიდი დრო მოუნდებოდა. გამოიანგარიშეს, პრეზიდენტს თითო ხელის ჩამორთმევაზედ რომ ერთის წამის მეტი არ დაეკარგა, მაინც ამ საქმეს $5^1/_2$ საათი მოუნდებოდა, ხელის ჩამორთმევა პრეზიდენტს დილის 6 საათზედ უნდა დაეწყო, რომ $11^1/_2$ გაეთავებინა.

* * *

თუ რა მეტოქობა შეუძლიანთ გაუწიონ ჩინელებმა ევროპიელ მუშებს, შემდეგის მაგალითიდგანა სჩანს. 1895 წელს ერთ მდიდარ ამერიკელს 800 ჩინელი ჩაუყვანია ლონდონში და სამაგალითო სამრეცხაო გაუმართავს. ჩინელებმა პირველ თვესვე საოცარი ზარალი მიაყენეს ლონდონელ მრეცხავებს. სარეცხი თითქმის სულ იმათ ხელში გადავიდა. ამერიკელმა სამაგალითოდ მოაწყო ეს საქმე. მარტო სარეცხის გასაფენად 17 დღიური ცარიელი მიწა იყიდა. ამბობენ, ეხლა სხვებიც აპირობენ სხვა სამუშაოებისათვის ჩინელების ლონდონში ჩაყვანას. ჩინელები აქ ცალკე უბანში სცხოვრობენ. ამ ჟამად ლონდონელ ჩინელთა რიცხვი 3000 კაცს აღემატება თურმე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 ოქტომბერი.

**ლონდონი.** ხმა დადის, რომ მარკიზმა სალისბიურიმ გადასწყვიტა უარი სთქვას გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობაზედ, ხოლო მინისტრ-პრეზიდენტის თანამდებობაკი დაიტოვოს.

**ტიანძინი.** ღონისძიებანია მიღებული, რომ პაოტინფუში საპოლიციო სამსახური იქმნას დაწესებული. შედგენილია საერთაშორისო კომისია გენერალ ბალიუს თავმჯდომარეობით, რათა გამორკვეულ იქმნას, რაოდენად მიუღიათ მონაწილეობა ცალკ-ცალკე მოხელეებს აქაურ უცხო-ქვეყნელთა აღმოხოცვის საქმეში; კომისიამ განკარგულება მისცა დააპატიმრონ გუბერნატორი, პროვინციის მოსამართლე და ორიც სხვა მოხელე. აქამომდე კომისიას გარეშეთა დაუსწრებელი სხდომანი ჰქონდა და ამიტომ გამოქვეყნებული არ არის, თუ რა დაადგინა.

მხვერავ რაზმის ცხენოსანი ნაწილი, რომელიც პაოტინფუდგან 8 ოქტომბერს გავიდა, წარსულს ღამეს დაბრუნდა. შეტაკება ჰქონია; ორნი არიან დაჭრილნი. იტალიის მზვერავი რაზმი, რომელიც შესდგება 15 ჯარის-კაცისა და ერთის აფიცრისაგან, გუშინ გავიდა იჩჟოუში. განკარგულება აქვს მიცემული, მთებს გარს ხვეულის გზით შემოუაროს. ამბობენ, რომ რაზმს გარს ალყა არტყია „დიდის მუშტისაო“. დღეს რაზმის განსათავისუფლებლად მიდის რაზმი, რომელშიაც 150 იტალიელია და 60 ინგლისის ცხენოსანი ჯარის-კაცი.

**ვრიბურგი.** აქაურს ოლქში ბურები თანდათან თამამდებიან; როგორცა სჩანს, განზრახვა აქვთ ქალაქს ალყა შემოარტყან. რადგან საპოლიციო ჯარი არ მოიპოვება, ფერმერები, რომელნიც შემაერთებელ გზების მოშორებით სცხოვრობენ, სრულიად უშემწეოდ არიან დატოვებულნი. აქედგან ოცის მილის მანძილზედ აღმოსავლეთისაკენ, მარგანარანღუსაკენ, ბურებს ოთხი შემაგრებული ბანაკი აქვთ დაცემული. ქალაქიდგან აღკრძალულია სურსათის გატანა და აგრეთვე ქალაქელებს ნება არა აქვთ მიცემული საღამოს 9 საათს შემდეგ ქუჩებში იმყოფებოდნენ.

**ბერლინი.** ლიბკნეხტის ადგილზედ ამორჩეულ იქნა სოციალ-დემოკრატი ლებედურგი.

**პეკინი.** პაოტინფუზედ გალაშქრება სასარგებლო აღმოჩნდა. ჩინეთის მუდმივმა ჯარმა უბრძოლველად დაიწია უკან. პაოტინფუსა და იმის აღმოსავლეთით დიდ-ძალი ჯარია „დიდის მუშტისა“, გაბნეულ იქმნა, ისინი ეხლა ძალ-მომრეობენ სოფლების მცხოვრებლებზედ და იერიში მიაქვთ სუსტად შემაგრებულ სადარაჯო ადგილებზედ. დიდ-ძალი სწრაფლ-მსროლი რაზმებია შემდგარი დაპყრობილ ადგილების გასაუშიშროებლად და დასაქვემდებარებლად; ამავე აზრით ჯარი ჰბრუნდება პაოტინფუდგან პე-

კინში ოთხად განაწილებულ სხვა-და-სხვა გზით.

**ლონდონი.** „Standard“-ს დეპეშით აუწყებენ შანჰაიდგან: აქაურს ჩინეთის გაზეთში გამოქვეყნებულია ბრძანება, რომელსაც იმპერატორს აწერენ, პრინცის ცინის მიმართ. ამ ბრძანებაში ნათქვამია, რომ იმპერატორს ჰსურს უეჭველად დასჯილ იქმნენ უწესოების მომხდენნი ყოვლად მიუკერძველად და რომ მან თავისის პირად განკარგულებით დასაჯა ერთ დამნაშავეთაგანი, რომელიც აქამდე არავის დაუსახელებია ამ საქმის ბრალეულად და დამნაშავედაო; ასეთი დაუსახელებელი დამნაშავე უეჭველია ბევრი კიდევ სხვა იქნება. ცინმა უნდა აღუნიშნოს იმპერატორს ყველა დამნაშავე, ხოლო არა საჯაროდაო.

„Times“-ს დეპეშით აუწყებენ პეკინიდგან, რომ როგორც ჩინეთის წყაროებიდგან სჩანს, პრინცი გიე, რომლის დასჯასაც დიდნი სახელმწიფონი თხოულობდნენ, გარდაიცვალაო. ელჩები უნდობლად ეკიდებიან ამ ამბავს.

„Times“-ის მიერ 16 ოქტომბრის რიცხვით მიღებულს დეპეშაში სიამოვნებით არის აღნიშნული ის გარემოება, რომ გარდაწყვეტილია იმ ჯამში, რომელსაც ჯილდოდ სთხოვენ ჩინეთს, ჩარიცხონ იმ ჩინელთა ზარალიც, რომელნიც უცხო-ქვეყნელებთან სამსახურში ყოფნის დროს დაზარალდნენო.

„Times“-ს დეპეშით აუწყებენ შანჰაიდგან: ლიხუნგჩანგმა დეპეშით აცნობა ჩჟან-ჩჟი-ლუნს, რომ სამშვიდობიანო მოლაპარაკების საქმე კმაკმაყოფილად სწარმოებსო. სხვა წარჩინებულთათვის-კი ლიხუნგჩანგს სულ წინააღმდეგი უთქვამს და დაუძენია, რომ კარგი იქმნებოდა ყოველ შემთხვევისათვის თადარიგი დაგვეჭირაო.

**პრეტორია.** იუწყებიან, რომ მოლაპარაკებას ბოტასთან არავითარი საკეთილო ნაყოფი არ მოჰყვა. შტეინმა უარი სთქვა და პარლამენტიორები არ მიიღოო.

**ლონდონი.** „ჰავასის სააგენტო“ იუწყება, რომ ვარნაში ბოლგარიის მთავრის ფერდინანდის მოკვლას იყვნენ განზრახულნი, მაგრამ საწადელი ვერ შეუსრულდათო. ამ ცნობას თვით სააგენტო ეჭვის თვალით უყურებს.

**მადრიდი.** კარლისტებმა განაცხადეს, რომ დონ-კარლოსს კატალონიაში მომხდარ მოძრაობაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ბერგის ბრბოს, 300 კაცისაგან შემდგარს, დიდად სდევნიან.

„Liberal“-ი ამბობს, რომ თუ დღეს რაიმე შესანიშნავი ცნობა მოვიდა, მთავრობა მთელს ისპანიაში საკონსტიტუციო წესების მოქმედებას შეაჩერებსო.

19 ოქტომბერი

**პრეტორია.** როგორც იუწყებიან, გენერალი ბოტა ძლიერის რაზმით კენგარდის ოლქის გზაზედ იმყოფება, სადაც ზოგიერთს ნაწილს შეურიგებელ ბურებისას განზრახვა აქვს კვლავ თავს დაესხას მტერს.

**პრეტორია.** ბოტამ პადეეტიდგან გამოგზავნილ შუაკაცებთან მოლაპარაკების დროს აღიარა, რომ ყოველივე გათავებულია, მაგრამ დამორჩილების შესახებ ჯერ არა ითქმის-რა, ვიდრე კიდევ არ ან მებრძოლნი, რომელთაც ომის განგრძობა ჰსურთო. ვილიენი, რომელსაც მხარს პრეზიდენტი შტეინი უჭერს, იმ აზრისაა, რომ წინააღმდეგობა უეჭველად უნდა განვაგრძოთო. შტეინმა უარი განაცხადა რობერტსის პროკლამაციის წაკითხვაზედ და გარდასწყვიტა არ დაემორჩილოს, მაგრამ თანდათან უფრო უძნელდება იძულებულ ჰყოს მებრძოლნი ომი განაგრძონ.—როგორც იუწყებიან, სტენკამპი, „კაპის მეამბოხეთა წინამძღოლი, ბლუმფონტენის დაპყრობის დროს გაქცეული, პიტსბურგში იმყოფება ბურებთან. ამბობენ, რომ იქ სულ 17 ზარბაზანი აქვთო.

**პეკინი.** პაოტინფუში დარჩა გერმანიის მეორე ბრიგადა, ერთი ესკადრონი და სამინდვრო არტილერიის მეორე ნაწილი.—შანჰაი-გუანას დასავლეთით 80 კილომეტრის მანძილზედ, ცინგხუნგოსთან ინგლისელებმა და გერმანიის ქვეითა ჯარის ორმა რაზმმა იუშპანფუ დაიპყრეს.

**ლონდონი.** პარიჟიდგან იუწყებიან, რომ დღეს საფრანგეთის მთავრობამ პასუხი გასცა ინგლის-გერმანიის შეთანხმების შესახებს ნოტას. რაც შეეხება პირველს ორს მუხლს, პასუხში აღნიშნულია სამაგალითოდ იგივე აზრნი, რომელიც გამოთქმული იყო რუსეთისა და ამერიკის შეერთებულ შტატების მიერ. მესამე მუხლის შესახებ ნათქვამია, რომ მისი წინააღმდეგი საფრანგეთს არა აქვს-რა, ხოლო თუ ისეთი მოხდა რამ, რაიცა დაჰბადებს მიზეზს ამ მუხლის შეცვლისას, საფრანგეთი უფლებას იტოვებს ასეთს შემთხვევაში თავისუფლად მოქმედებისასაო. აქ განმარტებენ, რომ საფრანგეთმა არ იცის, რა აზრით არის ჩართული მესამე მუხლი, ან უნდა ამ მუხლით ხელ-ფეხი შეიკრას და ამიტომ ვერც მიემხრობა შეთანხმების პირობის იმ ნაწილს, რომელიც, როგორცა სჩანს, დადებულია განკერძოებით ორის მის ქვეშ ხელის მომწერ ქვეყნის სასარგებლოდაო.

**ბარსელონა.** გუბერნატორმა აღმოაჩინა ორი საწყობი ყოველ სისტემის თოფებისა, ხმლებისა და სამხედრო სამზადისისა. კარლისტთა შეთქმულობა უნდა განხორციელებულიყო ნოემბრის პირველ რიცხვებში. ერთს დროს უნდა დასხმოდნენ თავს ქალაქის საბჭოს, სამოქალაქო გუბერნატორსა და გენერალ გუბერნატორს.

## წერილი რედაქციის მიმართ

გულითადს მადლობას ვუძღვნი დაბა სუჯუნის პოლიციის ბოქაულის მეუღლეს ქ-ნს თეოდოსია გიორგის ასულს გეგენავას, რომელმაც ჩემდამი სამზრუნველო კოტიანეთის სამრევლო სკოლისთვის ხუთი მანეთი გამომიგზავნა. იმედი მაქვს სხვებიც მიჰბაძავენ ამ მაგალითსა და თავიანთს წვლილს არ დაიშურებენ, რომ ჩვენს ღარიბს სკოლას შეღავათი მიეცეს. აღნიშნული ხუთი მანეთი ადგილობრივს მღვდელს არჩაიას გადაეცა სკოლის საჭიროებისათვის დასახარჯად. ადრესი შემწეობის აღმოჩენის მსურველთათვის: Ново-Сенаки. Попечителю Котіанетской церковно-приходской школы Владимиру Іесееву Гагуа.

კოტიანეთის სამრევლო სკოლის მზრუნველი
ვლადიმირ გაგუა

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული. პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

24 ოქტომბერს:

ირაკლი მგელაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-165 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

დავით მესხისა, რომელსაც მკვლელობის განზრახვის ჩადენის ბრალი ედება.


## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ვაჟა ფშაველასი | 1 | „ |
| სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა | „ | 5 |
| საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა, მისივე | „ | 10 |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა | „ | 30 |
| ამბავნი და მოთხრობანი, თარგ. გრ. ყიფშიძისა | „ | 15 |
| საქართველოს ძველის დროის თავ-გადასავალი | „ | 40 |
| ეკატერინე ბატონიშვილი, ხუსკივაძისა | „ | 5 |
| შ. არაგვისპირელის თხზულებანი | „ | 50 |
| სიტყვიერების თეორია | 1 | „ |
| ანტონ ჰყონდიდელის ქადაგებანი | 1 | 50 |
| ვინ მოიგონა არაყი, ტოლსტოისა | „ | 5 |
| Заслуги грузинскаго монашества Е. К. | „ | 30 |
| Двѣнадцативѣковая борьба | „ | 50 |
| Грузинскіе поэты, Тхоржевскаго | „ | 30 |
| Царица Тамара, М. Джанашвили | „ | 50 |
| Исторія грузинск. церкви, его же | „ | 40 |
| Грузинскія обители внѣ грузіи, его же | „ | 25 |
| Письма о грузіи, Исарлова | „ | 80 |
| შოთა რუსთაველი და მისი ცოლი, ან. ფურცელაძისა | „ | 10 |
| სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი | „ | 30 |
| ნამდვილი სამსახური, მოთ. | „ | 40 |
| Новая постановка педагог. дѣла въ учебн. завед. | „ | 20 |
| Назрѣвшій вопросъ (Ко дню столѣтія присоединенія грузіи къ Россіи), Е. К. | „ | 20 |
| თხზულებანი პუშკინისა | „ | 50 |
| სულიკო, აკაკისა | „ | 10 |
| სამი პოემა, ან. ფურცელაძისა | „ | 50 |
| მეზობლები | „ | 5 |
| მელის წიგნი, ანუ იგავ-არაკების კრებული, ვარდანასი | „ | 40 |
| საერო დღესასწაული | „ | 25 |
| ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა | „ | 50 |
| ნელიო და პატრაში, საყმ. მოთხრობა | „ | 10 |
| თამარ მეფე, ზ. ჭიჭინაძისა | „ | 10 |
| მეცნიერებისათვის წამებულნი | 1 | „ |
| ლაზარილიო | „ | 10 |
| დედა ანდერსენისა | „ | 8 |
| ჩვენი ძველი გმირები, გ. წერეთლისა | „ | 30 |
| ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილისა | „ | 40 |

# ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐ

1 ოქტომბრისათვის 1900 წლისა.

### ა ქ ტ ი ვ ი.

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) | | 11855 | 60 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში | | 100 | — |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში | | 124 | 54 |
| IV. სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთვნონი. | | | |
| ა) უზრუნველ-ყოფილნი: | 2076—26 | | |
| ბ) არა-უზრუნველ ყოფილნი: | 3999—95 | 6076 | 21 |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი. | | 3904 | 34 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი | | 264738 | 13 |
| VII. პროტესტში წასული თამასუქები | | 980 | — |
| VIII. გირაოთი გაცემული სესხი: | | | |
| ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. | 11561—10 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. | 39377— | | |
| გ) საქონელზედ | 16388—13 | | |
| დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმ. | 4414— | 71740 | 23 |
| IX. დასაბრუნებელი ხარჯი | | 131 | 61 |
| X. მოწყობა-მომართვა | | 2036 | 98 |
| XI კორესპონდენტები: | | | |
| ა) იმათის ანგარიშით (loro) | 21776—54 | | |
| ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) | 3000— | 24776 | 54 |
| XII. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი | | 138 | 55 |
| XIII. სხვა და-სხვა დებიტორები | | 294 | 92 |
| XIV. გარდასაცემი თანხა | | 292 | — |
| XV. მიმდინარე ხარჯი | | 10110 | 30 |
| ს უ ლ | | 397299 | 95 |

### პ ა ს ს ი ვ ი.

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 803 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრი ფულიდგან | | 83976 | — |
| II. სათადარიგო თანხა | | 3917 | 29 |
| III. სათადარიგო თანხის % იან ქაღალდების სარგებელი | | 54 | 76 |
| IV. შემოტანილი ფული: | | | |
| ა) მიმდინარე ანგარიშით | 89032—49 | | |
| ბ) ვადით | 131675— | | |
| გ) უვადოდ | 520— | 221227 | 49 |
| V. გარდასაცემი თანხა | | 1914 | 90 |
| VI. გარდასახდელი სარგებელი | | 492 | 48 |
| VII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა | | 27 | 59 |
| VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე 12 და 13 §§-ის თანახმად. | | 300 | — |
| IX. კორესპონდენტები: | | | |
| ა) იმათის ანგარიშით (loro) | 16150— | | |
| ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) | 4664—10 | 20814 | 10 |
| X. განაღდება თამასუქებისა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში | | 24200 | — |
| XI. განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში | | 20000 | — |
| XII. წაუღებელი დივიდენდი: | | | |
| ა) 1898 წლისა | 939—79 | | |
| ბ) 1899 წლისა | 2112—45 | 3052 | 24 |
| XIII. მიღებული სარგებელი | | 16803 | 37 |
| XIV. 1900 წლ. მოგებისა და ზარალის ანგარიში | | 519 | 73 |
| ს უ ლ | | 397299 | 95 |
| პასუხის-მგებლობა 803 წევრისა 10-%-იან შემოსატანს გარდ. | | 755784 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება. | | 6100 | — |
| თამასუქები საკომისიოდ | | 846 | 40 |

(1—5.—1)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 го Октября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე